



## ეს ნაღკაბა

აღბილობრივი ლიდერები მდბრადი ბანვიტარებისათვის  
ნაღკის მრავალეთნიკურ მუნიციპალიტეტში

საბრანდო სახელმძღვანელო

დოკუმენტი მომზადდა კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო  
ორგანიზაციების ქსელის (CENN) მიერ. დოკუმენტი განახლდება, მთლიანად ან  
ნაწილობრივ, საჭიროების შემთხვევაში.

2020 წელი



## შინაარსი

1. პროგრამის შესახებ.....	3
2. საინფორმაციო კამპანია .....	4
3. კონკურსში მონაწილეობა.....	4
4. საგრანტო დაფინანსების შესაძლებლობა და ოდენობა.....	5
5. კონკურსის ეტაპები, ვადები და განაცხადების შერჩევა/შეფასება.....	7
6. განაცხადების ფინანსურ-ადმინისტრაციული შემოწმება, შერჩევის და შეფასების პროცესი .....	11
a. ფინანსურ-ადმინისტრაციული შემოწმება .....	11
b. შეფასების პროცესი .....	11
7. განაცხადებებისა და საჩივრების კომისია .....	13
8. ინტერესთა კონფლიქტი, ხელშეკრულება და შესყიდვები.....	13
9. მონიტორინგი, განხილვა და შეფასება .....	14



## 1. პროექტის შესახებ

‘ადგილობრივი ლიდერები მდგრადი განვითარებისათვის წალკის მრავალეთნიკურ მუნიციპალიტეტში’ პროექტის მიზანია მუნიციპალიტეტში სიღარიბის დონის შემცირება და მოსახლეობის საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესება, იქ არსებული ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი გამოწვევების გადაჭრა სოფლის მეურნეობის კონკურენტუნარიანობის გაზრდით, ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვითა და კლიმატისადმი მედეგი სოფლის ეკონომიკის მხარდაჭერით. ამასთან, ცოდნაზე, ინოვაციებსა და ახალ ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომის უზრუნველყოფით, ბიზნეს კავშირების დამყარებითა და სამუშაო ადგილების შექმნის გზით, პროექტი გააძლიერებს საოჯახო მეურნეობებს, მენარმეებს, ქალებს, ახალგაზრდებსა და სხვა ადგილობრივ ჯგუფებს.

პროექტს ახორციელებს CENN პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად:

- [საქართველოს ფერმერთა ასოციაცია \(GFA\) \(საქართველო\)](#)
- [სოფლის განვითარების კვლევითი ინსტიტუტი \(Ifis\) \(გერმანია\)](#)

აღნიშნული პროექტის ფარგლებში, CENN პარტნიორ ორგანიზაციებთან და პროექტის ფარგლებში ჩამოყალიბებულ ადგილობრივი განვითარების ჯგუფთან (LAG) ერთად, გამოაცხადებს საგრანტო კონკურსებს. გამოცხადებულ კონკურსზე ინფორმაციის მიღება შესაძლებელი იქნება ვებგვერდიდან: [www.tsalkalag.ge](http://www.tsalkalag.ge)

### საგრანტო კონკურსის მიზანი

საგრანტო კონკურსის მიზანია, პროექტის ძირითადი მიზნებისა და ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის პრიორიტეტების შესაბამისად, წალკის ადგილობრივი თემების კეთილდღეობის და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება; სოფლად ეკონომიკური ალტერნატივების შექმნა და განვითარებაზე ორიენტირებული ინოვაციური პროექტების განხორციელება.

ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის პრიორიტეტული მიმართულებებია:

- სოფლის მეურნეობა (რეგიონალურ ღირებულებათა ჯაჭვის განვითარება);
- ტურიზმის განვითარება;
- არასასოფლოსამეურნეო საქმიანობების ხელშეწყობა;
- გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მართვა;
- განათლება, კულტურა, სპორტი და ახალგაზრდები;
- ჯანდაცვა და სოციალური საკითხები;
- გენდერული თანასწორობა და ქალთა ინტეგრაცია.



## 2. საინფორმაციო კამპანია

საგრანტო კონკურსის გამოცხადებისთანავე წალკის ადგილობრივი განვითარების ჯგუფი (LAG), CENN და საქართველოს ფერმერთა ასოციაცია (GFA) საგრანტო კონკურსის შესახებ ინფორმაციის მაქსიმალურად გავრცელების მიზნით იწყებს საინფორმაციო კამპანიას. საინფორმაციო კამპანია წარიმართება წალკის ადმინისტრაციულ ერთეულებში მოსახლეობასთან უშუალო შეხვედრების მიზნით, წინასწარ შემუშავებული განრიგის შესაბამისად. შეხვედრის მიზანია წალკის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის პრიორიტეტების კიდევ ერთხელ მიმოხილვა და საგრანტო კონკურსის პირობების გაცნობა. ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და ეფექტიანი გავრცელებისათვის დამატებით გამოყენებული იქნება შემდეგი საშუალებები:

1. წალკის ადგილობრივი განვითარების ჯგუფის ოფიციალურ ვებგვერდზე და ფეისბუქ გვერდზე განთავსდება საგრანტო კონკურსის შესახებ ინფორმაცია და „წალკის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი განვითარების სტრატეგია“;
2. საზოგადოებრივი შეკრების ადგილებში და საზოგადოებრივ ტრანსპორტში გავრცელდება საინფორმაციო ლიფლეტები.

საგრანტო კონკურსთან დაკავშირებულ საკითხებზე დეტალური ინფორმაციის მიღების მიზნით, მათ შორის, საგრანტო განაცხადის ფორმების შევსების და წარდგენის პროცედურებზე, ჩატარდება ღია კარის დღეები/კონსულტაციები. შესაბამისი სახელმძღვანელო დოკუმენტები და ფორმები გამოქვეყნდება LAG-ის ვებგვერდზე - [www.tsalkalag.ge](http://www.tsalkalag.ge)

## 3. კონკურსში მონაწილეობა

**საგრანტო კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს შემდეგ სუბიექტებს:**

1. საქართველოს ან/და უცხო ქვეყნის სრულწლოვან მოქალაქეებს;
2. საქართველოში რეგისტრირებული იურიდიულ პირებს;
3. რეგისტრირებული სტატუსის მქონე სასოფლო კოოპერატივებს;
4. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებს (არასამთავრობო ორგანიზაცია, ასოციაცია, ფონდი და ა.შ.);
5. წალკის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს;
6. წალკის მუნიციპალიტეტში არსებული კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციებს
7. საინიციატივო ჯგუფებს.



**კონკურსში მონაწილეობის უფლება არ აქვს:**

1. პოლიტიკურ პარტიებს;
2. რელიგიურ ორგანიზაციებს;
3. ფინანსურ ინსტიტუტებს (ბანკი; მიკროსაფინანსო ინსტიტუტი, ლომბარდი და ა.შ.);
4. ორგანიზაციებს, კავშირებს, გაერთიანებებს, საინიციატივო ჯგუფებს და ა.შ., რომლებიც სქესის, რელიგიური შეხედულებების, ეთნიკური წარმომავლობის და სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე ახდენენ ფიზიკური შირების ან/და კონკრეტული ჯგუფების დისკრიმინაციას.

**გარდა ზემოაღნიშნულისა, კონკურსში მონაწილეობა არ განიხილება აპლიკანტებისათვის, რომლებსაც:**

- შემოთავაზებული ობიექტი (მინა, შენობა-ნაგებობა და სხვ.), სადაც დაგეგმილია პროექტის განხორციელება დატვირთულია იპოთეკით, გირავნობით, ყადაღით.
- გრანტით განსახორციელებელი ობიექტი (მინა, შენობა-ნაგებობა და სხვ.) არ არის აპლიკანტის საკუთრებაში ან არ სარგებლობს გრძელვადიანი იჯარის ხელშეკრულებით აღნიშნულ ობიექტზე (მინიმუმ, 10 წელი).

**4. საგრანტო დაფინანსების შესაძლებლობა და ოდენობა**

კონკურსის შედეგად საგრანტო განაცხადების თანხობრივი მხარდაჭერა გამოყენებული იქნება ორი მიმართულებით: (1) კომერციული და (2) სოციალური / საგანმანათლებლო პროექტების მხარდასაჭერად.

დაფინანსების მინიმალური ოდენობა შეადგენს 1,000 ლარს, ხოლო მაქსიმალური - 180,000 ლარს. განმცხადებლებს მოეთხოვებათ ფულადი თანამონაწილეობა და თანამონაწილეობის მოცულობა დამოკიდებული იქნება განმცხადებლის პროექტის სპეციფიკასა და გრანტის მოცულობაზე შემდეგნაირად:

**საგრანტო დაფინანსების ოდენობა კომერციული პროექტებისათვის:**

- 1,000-დან 10,000 ლარამდე, პროექტის საერთო ბიუჯეტის მინიმუმ 15% თანადაფინანსებით.
- 10,000-დან 20,000 ლარამდე, პროექტის საერთო ბიუჯეტის მინიმუმ 20% თანადაფინანსებით.
- 20,000-დან 60,000 ლარამდე პროექტის საერთო ბიუჯეტის მინიმუმ 25% თანადაფინანსებით.
- 60,000-დან 120,000 ლარამდე პროექტის საერთო ბიუჯეტის მინიმუმ 30% თანადაფინანსებით.



- 120,000-დან 180,000 ლარამდე პროექტის საერთო ბიუჯეტის მინიმუმ 40% თანადაფინანსებით.

განმცხადებელმა პროექტში მითითებული ობიექტისათვის უნდა წარმოადგინოს საკუთრების უფლების რეგისტრაციის დოკუმენტი ან გრძელვადიანი იჯარის (მინიმუმ, 10 წელი) ხელშეკრულება საპროექტო განაცხადდთან ერთად დანართის სახით.

თუ აღნიშნული დოკუმენტების წარმოდგენა საპროექტო იდეებისა და განაცხადების მიღების ეტაპზე ვერ ხერხდება, მაშინ, პროექტის დამტკიცების შემთხვევაში, განმცხადებელი ვალდებულია, აღნიშნული დოკუმენტები წარმოადგინოს კომისიის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

საგრანტო დაფინანსების ოდენობა სოციალური პროექტებისათვის:

- კულტურული, საგანმანათლებლო, და სხვა სოციალური პროექტები, რომლებიც განხორციელდება არაკომერციული (არასამეწარმეო) იურიდიული პირის, კულტურულ/საგანმანათლებლო დაწესებულების და საინიციატივო ჯგუფების მიერ:
  - 1,000-დან 40,000 ლარამდე, პროექტის საერთო ბიუჯეტის მინიმუმ 10% თანადაფინანსებით.
  - 40,000-დან 60,000 ლარამდე პროექტის საერთო ბიუჯეტის მინიმუმ 15% თანადაფინანსებით.
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, სახელმწიფო სსიპ-ები, სახელმწიფო შპს-ები - პროექტის საერთო ბიუჯეტის მინიმუმ 40% თანადაფინანსებით. (დაზუსტება: საგრანტო დაფინანსების მექანიზმები თვითმმართველობის ორგანოებისთვის რჩება იგივე რაჟ ასახულია სახელმძღვანელო დოკუმენტის მე-4 პუნქტში).
- წალკის მუნიციპალიტეტში არსებულ საჯარო სკოლებისა და ბაგა-ბალების პროექტებისათვის - საერთო ბიუჯეტის მინიმუმ 10% თანადაფინანსებით.

პროექტის ბიუჯეტის თანამონაწილოების პროცენტის გამოთვლის ფორმულის მაგალითი.

- პროექტის საერთო ღირებულება 35,000 ლარი.
- თანამონაწილეობა 25%.
- განმცხადებლის კონტრიბუცია (A\*B %) – 8,750 ლარი
- საგრანტო ფონდიდან მოთხოვნილი თანხა (A-C) = 26,250 ლარი

თანადაფინანსებად ჩაითვლება მხოლოდ თანხობრივი მონაწილეობა. დამატებითი პირობები:

- ბენეფიციარმა თანხა უნდა განათავსოს ორგანიზაციის მიერ გრანტისთვის შექმნილ სპეციალურ ანგარიშზე. მოცემული ანგარიშიდან თანხების ხარჯვა მოხდება გამარჯვებული საგრანტო პროექტით დადგენილი ბიუჯეტის შესაბამისად.

დონორი ორგანიზაცია იტოვებს უფლებას გამარჯვებული პროექტების განხორციელების ეტაპზე, ხარჯთ-ეფექტურობის მაქსიმიზაციის და



ოპტიმიზაციის მიზნით შეისყიდოს და გადასცეს ძირითადი საშუალებები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ბენეფიციარს.

საგრანტო რესურსით არ ფინანსდება შემდეგი ხარჯები:

1. ხელფასები (გამონაკლის შემთხვევაში, შესაძლოა, დაფინანსდეს ექსპერტის/სპეციალისტის ჰონორარი);
2. მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის, შინაური ფრინველების, ფუტკრის ოჯახების შექმნა;
3. უძრავი ქონების შექმნა;
4. ავტომობილი, მიკროავტობუსი, ავტობუსი და სხვ. (გარდა სპეციფიური სატრანსპორტო საშუალებისა, რომელიც არის გარემოსთან მეგობრული და ინოვაციური კონკრეტული პროექტის კონტექსტში);
5. სემინარებში, სამუშაო შეხვედრებში და კონფერენციებში ინდივიდუალური მონაწილეობა;
6. კვლევების ან ტრენინგების ინდივიდუალური დაფინანსება გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის წარმოადგენს ძირითადი საქმიანობის შემადგენელ კომპონენტს;
7. აკადემიური და სამეცნიერო კვლევები;
8. სასწავლო/სამეცნიერო გრანტები;
9. ჰუმანიტარული აქციები და საქმიანობა;
10. ვალები და მომავალი შესაძლო ზარალისათვის გათვალისწინებული ხარჯები;
11. გადასახდელი პროცენტები, საურავები, ჯარიმები;
12. ზარალი, გამონვეული სავალუტო კონვერტაციის შედეგად;
13. მესამე მხარისათვის გაცემული სესხები;
14. სადაზღვევო ხარჯები;
15. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით აკრძალული საქმიანობები.

## 5. კონკურსის ეტაპები, ვადები და განაცხადების შერჩევა/შეფასება

საგრანტო კონკურსი შედგება შემდეგი ეტაპებისგან:

- I ეტაპი - საგრანტო იდეის წარდგენა;
- II ეტაპი - ტრენინგი საპროექტო განაცხადის შემუშავებაზე (სავალდებულო ეტაპი კომერციული პროექტებისთვის)
- III ეტაპი - სრული განაცხადის წარდგენა / მონიტორინგი
- IV ეტაპი - გასაუბრება
- V ეტაპი - საგრანტო განაცხადის დამტკიცება/კონტრაქტის გაფორმება.



განაცხადების წარმოდგენა შესაძლებელია მხოლოდ ქართულ ენაზე.  
განაცხადზე თანდართულ უცხოენოვან დოკუმენტაციას უნდა ახლდეს  
ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.





## I ეტაპი - საგრანტო იდეის წარდგენა

საგრანტო იდეის წარდგენა შესაძლებელია ორი ფორმით: ელექტრონული და ნაბეჭდი ფორმით:

### ელექტრონული ფორმა:

- ელექტრონულად განაცხადის წარდგენა შესაძლებელია ნალკის ადგილობრივი განვითარების ჯგუფის (LAG) ელ. ფოსტაზე: [grants@tsalkalag.ge](mailto:grants@tsalkalag.ge)

\* ელ. ფოსტაზე განაცხადის პაკეტის წარდგენისას აუცილებელია განმცხადებელმა თემის ველში მიუთითოს „საგრანტო კონკურსი 2020 – I ეტაპი“

\*\* ელ. ფოსტის მეშვეობით განაცხადის პაკეტის წარმოდგენა შესაძლებელია მხოლოდ ერთი მეილით.

\*\*\* ელექტრონული ფორმით განაცხადები მიიღება ხელმოწერილი.

\*\*\*\* ელ. ფორმით განაცხადის წარდგენის შემთხვევაში, განმცხადებელი ლეზულობს განაცხადის წარდგენის დასტურს საპასუხო მეილით.

### ნაბეჭდი ფორმა:

- ნაბეჭდი ფორმით განაცხადების წარდგენა შესაძლებელია ნალკის ადგილობრივი განვითარების ჯგუფის (LAG) ოფისში შემდეგ მისამართზე: კლდეკარის ქ. N5, ქალაქი ნალკა, საქართველო.

\* ნაბეჭდი ფორმით განაცხადი წარდგენილი უნდა იქნეს დალუქულ კონვერტში; უშუალოდ პროექტის განაცხადის ფორმა უნდა იყოს ხელმოწერილი და ბეჭდით დამოწმებული (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

\*\* კონვერტზე აუცილებლად უნდა მიეთითოს განმცხადებლის სახელი და გვარი; პირადი ნომერი და საკონტაქტო ინფორმაცია;

\*\*\* კონვერტზე აუცილებლად უნდა მიეთითოს შემდეგი სათაური: „საგრანტო კონკურსი 2020 – I ეტაპი“;

\*\*\*\* განაცხადის ნაბეჭდი ფორმით წარდგენის შემთხვევაში განმცხადებელს გადაეცემა განაცხადის რეგისტრაციის ბარათი.

განაცხადის ფორმების შევსებასა და წარდგენასთან დაკავშირებულ ტექნიკურ საკითხებზე დაინტერესებულ პირებს კონსულტაციები გაეწევათ განაცხადის წარდგენის ვადის ამოწურვამდე ნალკის ადგილობრივი განვითარების ჯგუფის .

საგრანტო განაცხადის ფორმები და საგრანტო სახელმძღვანელო დოკუმენტი განთავსდება ნალკის ადგილობრივი განვითარების ჯგუფის (LAG) ოფიციალურ ვებ. გვერდზე [www.tsalkalag.ge](http://www.tsalkalag.ge)



განაცხადის წარდგენის ბოლო ვადაა 2020 წლის 20 აპრილი, 18:00 საათი.

**\* ვადაგადაცილებით წარმოდგენილი ან/და ხელით შევსებული საპროექტო იდეები არ მიიღება.**

## II ეტაპი - ტრენინგი საპროექტო განაცხადის შემუშავებაზე

მე-II ეტაპზე გადასული საპროექტო იდეების ავტორები, მოწვეულნი იქნებიან სავალდებულო ტრენინგზე: „საპროექტო განაცხადის შემუშავება“. აღნიშნულთან დაკავშირებით, მონაწილეებს ეცნობებათ წინასწარ სატელეფონო და პირდაპირი კომუნიკაციის გზით.

განმცხადებლები, რომლებიც არ დაესწრებიან აღნიშნულ ტრენინგს, ვერ გადავლენ კონკურსის შემდეგ ეტაპზე.

## III ეტაპი - სრული განაცხადის წარდგენა/მონიტორინგი

მე-2 ეტაპის ტრენინგის გავლის შემდეგ, მონაწილეებს მიეცემათ გონივრული ვადა პროექტის სრულყოფილი განაცხადების წარმოსადგენად. სრულყოფილი განაცხადების მიღების დეტალები, მონაწილეებს ეცნობებათ ტრენინგების ჩატარების დღეს პირდაპირი კომუნიკაციის გზით. განაცხადების ფორმები განთავსდება ადგილობრივი განვითარების ჯგუფის ვებგვერდზე: [www.tsalkalag.ge](http://www.tsalkalag.ge)

დეტალები:

- სრული საპროექტო განაცხადების შესაბამისი ფორმები, აიტვირთება ზემოაღნიშნულ ვებგვერდზე 2020 წლის 1 ივნისიდან
- სრული საპროექტო განაცხადების მიღების ვადაა: 2020 წლის 15 ივნისი, 18:00 საათი
- სრული საპროექტო განაცხადების გამოგზავნა შეგიძლიათ შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: [grants@tsalkalag.ge](mailto:grants@tsalkalag.ge)

ან

წალკის LAG-ის ოფისში შემდეგ მისამართზე: კლდეკარის ქ. N5, წალკა

სრული საპროექტო განაცხადების ონლაინ წარმოდგენის შემთხვევაში:

გთხოვთ. მეილის სათაურის ველში მიუთითოთ შემდეგი: „საგრანტო კონკურსი 2020 – III ეტაპი,

ხოლო სრული საპროექტო განაცხადების ადგილზე, ოფისში წარმოდგენის შემთხვევაში კონკრეტული უნდა იყოს დალუქული და უნდა ეწეროს განმცხადებლის სახელი და გვარი.

სრული განაცხადების განხილვის პროცესში, საჭიროებიდან და პროექტის სპეციფიკაციიდან გამომდინარე, შესაძლებელია მოწვეული იყვნენ სხვადასხვა დარგის ექსპერტები.



მიღებული საპროექტო განაცხადების სრულყოფილი შეფასების მიზნით, კომისიის წევრები განახორციელებენ ადგილზე მონიტორინგს. პროექტები კომისიის მიერ შეფასდება წინასწარ დადგენილი და შეთანხმებული კრიტერიუმების მიხედვით.

**\* ვადაგადაცილებით წარმოდგენილი ან/და ხელით შევსებული განაცხადები არ მიიღება.**

#### IV ეტაპი - გასაუბრება

წალკის LAG-ის საგრანტო კომისია, შემოსულ განაცხადებზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით, პოტენციურ ბენეფიციარებთან გამართავს პირისპირ გასაუბრებას. გასაუბრების დრო და ადგილი განმცხადებელს ეცნობება წინასწარ.

#### V ეტაპი - საგრანტო განაცხადის დამტკიცება/კონტრაქტის გაფორმება

გამარჯვებულ პროექტებთან მოხდება კონტრაქტის გაფორმება.

### 6. განაცხადების ფინანსურ-ადმინისტრაციული შემოწმება, შეფასების და შერჩევის პროცესი

განაცხადების ფინანსურ-ადმინისტრაციულ შემოწმებას, შერჩევასა და შეფასებას ახდენს საგრანტო კომისია, რომელიც დაკომლევებული იქნება CENN-ის, GFA-ის, წალკის LAG-ის მმართველი საბჭოს წარმომადგენლებით, ერთობლივად. რიგ შემთხვევებში, შესაძლებელია მოწვეული იყვნენ გარე ექსპერტები

#### a. ფინანსურ-ადმინისტრაციული შემოწმება

საგრანტო განაცხადი, მისი შერჩევისა და შეფასების პროცესის დაწყებამდე გაივლის ფინანსურ-ადმინისტრაციულ შემოწმებას (წარმოდგენის ვადა, განაცხადის ფორმა, განმცხადებლის რეკვიზიტები, დანართების სიზუსტე, ბიუჯეტის რელევანტურობა და ა.შ.).

ფინანსურ-ადმინისტრაციული შემოწმების ეტაპზე აღმოჩენილი ხარვეზის(ების) არსებობის შემთხვევაში, განმცხადებელს ხარვეზების აღმოსაფხვრელად კომისია განუსაზღვრავს გონივრულ ვადას. გონივრული ვადის გასვლის შემდგომ, თუ ხარვეზი არ აღმოიფხვრა საგრანტო განაცხადი მოიხსნება კონკურსიდან.

#### b. შეფასება-შერჩევის პროცესი

საგრანტო განაცხადის წარდგენის ვადის ამოწურვისთანავე საგრანტო კომისია იწყებს საგრანტო განაცხადების შეფასებისა და შერჩევის პროცესს.



საგრანტო განაცხადების შეფასება ხორციელდება საგრანტო კომისიის წევრების მიერ ინდივიდუალურად, წალკის LAG-ის მმართველი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმით.

განაცხადის შეფასება განხორციელდება შემდეგი ძირითადი კრიტერიუმებით:

1. საგრანტო განაცხადით წარმოდგენილი იდეის კავშირი წალკის განვითარების სტრატეგიის პრიორიტეტულ მიმართულებებთან;
2. იდეის, პრობლემის აღწერა: რამდენად აქტუალურია წარმოდგენილი იდეა/პრობლემა მიზნობრივი ადგილმდებარეობისთვის;
3. პროექტი უნდა განხორციელდეს წალკის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში;
4. განმცხადებლის სტატუსი - განმცხადებლის სტატუსი უნდა შეესაბამებოდეს კონკურსში მონაწილეობის უფლების მქონე სუბიექტების სტატუსს;
5. განმცხადებლის ცოდნა ან/და გამოცდილება წარმოდგენილი პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით;
6. ხელშემწყობი წინაპირობები, პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული გარემო ფაქტორები და რესურსები (ადამიანური, ტექნიკური და ა.შ.);
7. პროექტის განხორციელების მიდგომები: პროექტის განხორციელებისათვის დაგეგმილი აქტივობები;
8. პროექტის ფინანსური დაგეგმარება (ბიუჯეტი - ხარჯების რეალისტური გათვლა);
9. პროექტის განხორციელების რისკები და მათი შემცირების გზები;
10. მარკეტინგი (კონკურენცია, პროდუქციის/მომსახურების სარეალიზაციო გარემო, მომხმარებლები, სტრატეგია);
11. პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი: პროექტის განხორციელების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს.
12. პროექტის განხორციელებით მიღებული შედეგები;
13. პროექტის მდგრადობა / სიცოცხლისუნარიანობა;
14. დასაქმება;
15. სხვა წინასწარ დადგენილი კრიტერიუმები.

**შენიშვნა 1:** კომერციული პროექტის განმცხადებელი შესაძლებელია იყოს ფიზიკური პირი ან პირთა ჯგუფი, თუმცა, პროექტის განხორციელებაზე კომისის მიერ დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, განმცხადებელს მოეთხოვება იურიდიული პირის დაფუძნება.

**შენიშვნა 2:** პოტენციურმა ბენეფიციარებმა, თუ მათ აქვთ სოციალურად დაუცველის სტატუსი, უნდა გაითვალისწინონ, რომ გრანტის მიღების შემთხვევაში, შესაძლოა, სახელმწიფოს მხრიდან გადაიხედოს აღნიშნული სტატუსის კვლავ მინიჭების საკითხი.



ყველა ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმების გათვალისწინებით, შერჩევის შედეგები ეცნობება განმცხადებლებს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი პასუხის შემთხვევაში. უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, განმცხადებელს მიეცემა წერილობითი პასუხი უარის თქმის მიზეზების შესახებ.

განაცხადის შეფასების პროცესში საგრანტო კომისია უფლებამოსილია, განაცხადში მოყვანილი გარემოებების გადამოწმების მიზნით მოთხოვოს განმცხადებელს დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა ან/და განმარტებები კონკრეტულ საკითხზე, ასევე ფაქტებისა და გარემოებების ადგილზე გადამოწმება. აღნიშნულ პროცესს კომისია ახორციელებს პროექტის მენეჯერის, LAG მენეჯერისა და მონიტორინგის კომისიის მეშვეობით, რომელიც იქმნება წალკის LAG-ის მმართველი საბჭოს მიერ, მინიმუმ, 4 წევრის შემადგენლობით.

კონკრეტულ განაცხადზე კომისიის წევრების მიერ გაკეთებული ინდივიდუალური შეფასების ქულები ჯამდება და გამოითვლება საშუალო არითმეტიკული ციფრი, რაც წარმოადგენს კონკრეტული საგრანტო განაცხადის შეფასების საბოლოო ქულას.

## 7. განცხადებებისა და საჩივრების კომისია

საგრანტო კონკურსის ფარგლებში, საგრანტო პროცესთან დაკავშირებული განცხადებების და საჩივრების განხილვის მიზნით, წალკის LAG-ის მმართველი საბჭოს მიერ შექმნილია განცხადებებისა და საჩივრების კომისია.

განცხადებებისა და საჩივრების კომისია, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, განცხადების ან საჩივრის დარეგისტრირებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში შეისწავლის საჩივარში არსებულ გარემოებებს და თავისი გადანყვეტილების შესახებ, შემდგომი რეაგირებისათვის წერილობით აცნობებს წალკის LAG-ის მმართველი საბჭოს თავმჯდომარეს. კომისიის მისამართი: ქ. წალკა, კლდეკარის ქ. N5.

## 8. ინტერესთა კონფლიქტი, ხელშეკრულება და შესყიდვები

შერჩევის შემდეგ პროექტის განაცხადები საბოლოო განხილვისათვის წარედგინება CENN-ის პასუხისმგებელი პირს. იმ შემთხვევაში, თუ ამ ეტაპზე CENN აღმოაჩენს შეთანხმებული და აუცილებელი პროცედურებისგან რამე გადაცდომას ან ინტერესთა კონფლიქტს, ის უფლებამოსილია, შეაჩეროს გრანტის ხელშეკრულების ხელმოწერა. თუკი განაცხადი და მასთან არსებული ყველა წარმოდგენილი დოკუმენტები სრულ წესრიგშია, წარმატებული განმცხადებელი ხელს მოაწერს გრანტის ხელშეკრულებას CENN-თან. ხელშეკრულებაში დეტალურად იქნება გაწერილი ორივე მხარის როლი და პასუხისმგებლობები პროექტის განხორციელებაში და დაფინანსებაზე, ასევე, შეთანხმების პირობებზე. გრანტის ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ განმცხადებელი და/ან მესამე პირი თანამონაწილეობით განსაზღვრულ თანხას - თანადაფინანსებას გადარიცხავს CENN-ის მიერ საგრანტო პროექტისათვის შექმნილ საბანკო ანგარიშზე, როგორც აღწერილია თანადაფინანსების განხილვაში ზემოთ, ამ თანადაფინანსების სახსრები საგრანტო ფონდთან ერთად გამოყენებული იქნება განმცხადებლის ბიუჯეტში ჩამოთვლილი ნივთების შესასყიდად და/ან მომსახურების გასაწევად. ყველა შესყიდვა



განხორციელებს განმცხადებლის სახელით შესაბამისი შესყიდვის პროცედურების წესების დაცვით, რომელიც წინასწარ იქნება შეთანხმებული. პროექტის დასრულებისას, ყველა აქტივი გადაეცემა განმცხადებელს, რომელიც პასუხისმგებელი იქნება მათ შემდგომ გამოყენებასა და მოვლა-პატრონობაზე.

## 9. მონიტორინგი, განხილვა და შეფასება

პროექტის მიმდინარეობისას ყველა სამართლებრივი და ფინანსური დოკუმენტი ხელმისაწვდომი უნდა იყოს შემმოწმებლისთვის პროექტის განხორციელებისა და მონიტორინგის დროს. ზემოხსენებული დოკუმენტაცია არ გასაჯაროვდება, თუ მასში არ შედის კანონითა და საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული დარღვევები. პირდაპირი ბენეფიციარი აწარმოებს და წარმოადგენს რეგულარულ საბუღალტრო ანგარიშგებას, ახორციელებს ყველა საგადასახადო მოთხოვნას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნული დოკუმენტაცია ხელმისაწვდომი იქნება მონიტორინგის გუნდისათვის 3 წლის განმავლობაში. პროგრამის ფარგლებში მხარდაჭერილი პროექტები უნდა დარჩეს მოქმედი და ემსახურებოდეს დასახულ მიზნებს განმცხადებლის მიერ შეთანხმებული პერიოდის განმავლობაში. პირდაპირი ბენეფიციარები უნდა შეესაბამებოდნენ ევროკავშირის ENPARD-ის მიზნებსა და პრიორიტეტებს და მათ უნდა უზრუნველყონ ევროკავშირის დაფინანსების ხილვადობა გამოცდილების გაზიარების მიზნით, ხელმოწერის დღიდან მომდევნო სამი (3) წლის განმავლობაში, CENN-სა და წალკის LAG-ის თხოვნის საფუძველზე, ბენეფიციარმა უნდა უზრუნველყოს საგრანტო პროექტის ჩვენება ყველა დაინტერესებული მხარისთვის.